

## 2019 წლის 11 სექტემბერი, ქალაქი ქუთაისი

განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკონკურსო კომისიის  
სხდომის მოწვევის და მისი დღის წესრიგის განსაზღვრის თაობაზე

1. მოწვეულ იქნეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკონკურსო კომისიის სხდომა 2019 წლის 19 სექტემბერს 15:00 საათზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ნიუპორტის ქ. №32, დარბაზი №4.

შემდეგი დღის წესრიგით:

ა) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მთავარი კონსულტანტი-მოსამართლის თანაშემწე-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, მოსამართლის თანაშემწე-პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, სხდომის მდივნის-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების სამოქალაქო საქმეთა პალატის სექტორის სპეციალისტის - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტისა და მანდატურის სამსახურის მანდატურის - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობებისათვის საკონკურსო პროგრამისა და პირობების დამტკიცება;

ბ) კანდიდატების შეფასების წესის განსაზღვრა;

გ) კონკურსის შედეგების გამოცხადების წესის განსაზღვრა;

დ) კონკურსთან დაკავშირებით სხვა საორგანიზაციო საკითხების განხილვა;

ე) ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატების სარეგისტრაციო ბარათისა და შეფასების ფორმების დამტკიცება.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსმა-მეორადი ტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ნათია ლოლაძემ განახორციელოს კომისიის წევრთა ინფორმირება სხდომის ჩატარების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე:



ქეთევან აჩყურელი